

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

რუსთავი

2019 წლის 25 სექტემბერი

შინაარსი:

1. შპს-ის „ვ.დ.ლ.“ მონაცემები -----	3
2. საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	4
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) -----	5
4. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი -----	7
5. კაპიტალის ცვლილებების ანალიზი -----	8
6. განმარტებითი შენიშვნები -----	9

შპს-ის „ვ.დ.ლ.“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

შესამოწმებელ პერიოდში, მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს ვ.დ.ლ

დირექტორი

 /ნოდარ ზაზაშვილი/

შპს-ის „ვ.დ.ლ.“ 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობის შესახებ.

1. შპს-ის „ვ.დ.ლ.“ მონაცემები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვ.დ.ლ.“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2009 წლის 19 ოქტომბერიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 216454389; მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, VIII მ/რ, კორ. 5, ბ. 73.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:

- დირექტორი : ნოდარ ზაზაშვილი (ს№35001011384) საქართველო;
- დირექტორის მოადგილე : – დავითი ზაზაშვილი (ს№ 35001029531) საქართველო;
- დირექტორის მოადგილე : – ივანე ზაზაშვილი (ს№35001007362) საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები:

- ნოდარ ზაზაშვილი (ს№35001011384) საქართველო – 100% წილი;

	საანგარიშო პერიოდი 2018 წელი
ამონაგები	2 245 845
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 744 049
პერსონალის ხარჯები	-78 000
დაზღვევის ხარჯი	-135
კომუნალური ხარჯი	
წისქვილის და სხვა დანადგარების რემონტის ხარჯი	-5 764
ბანკის საკომისიო ხარჯი	-1 682
ელექტრო ენერგიის და სხვა კომუნალური ხარჯი	-93555
იჯარის ხარჯი	-5 932
ქონების გადასახადი	-3 289
საკუროს სხვაობის ხარჯი	-59 254
საკანცელარიო ხარჯი	-118
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	-139 451
ცვეთა და ამორტიზაცია	-74 126
პროცენტის ხარჯი	-44 207
საოპერაციო მოგება	-3717

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერი.

შპს-ის „ვ. დ.ლ.“

დირექტორი



შპს ვ.დ.ლ.

(ს/კ N216454389) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2018 წ.)	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2017 წ.)
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	548437	188999
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-
საეჭრო მოთხოვნები	598236	466333
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანს/ აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	-
გადახდილი ავანსები	12 676	5 267
გაცემული სესხები	-	-
სესხების გაუფასურების ანარიცხი	-	-
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	22 353	19 545
ნედლეული	59060	10809
სხვა მიმდინარე აქტივები	6959	48 415
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	-
მოთხოვნები ფინანსური იჯარაიდან	-	-
საინვესტიციო ქონება		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი		
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		
სხვა საგადასახადო აქტივი		
ბიოლოგიური აქტივები		
სხვა მიმდინარე აქტივები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	295 445	415 638
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	-	-
სულ აქტივები	1 543 166	1 155 006

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2018წ)	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი (31.12.2017წ)
ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	865 320	290 759
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7 863	75 095
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	281025	385717
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	1400	12160
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	-	-
მიღებული გრანტები	-	-
სუბორდინირებული სესხი	-	-
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	1 155 608	763 731
საკუთარი კაპიტალი		
საემისიო შემოსავალი	103 276	103 276
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	284 282	287 999
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	387 558	391 275
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 543 166	1 155 006

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერი.

შპს-ის „ვ. დ.ლ.“ -ს
დირექტორი

 /ნოდარ ზაზაშვილი/

	საანგარიშგებო პერიოდი 2018 წელი	საანგარიშგებო პერიოდი 2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3 511 142	3 758 728
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	3 151 704	3 569 977
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	359 438	188 751
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	188 999	248
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	548 437	188 999

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 19 სექტემბერი .

შპს-ის „ვ.დ.ლ.“ -ს
დირექტორი

/ნოდარ ზაზაშვილი/

შპს „ვ.დ.ლ.“

(ს/კ N216454389) კაპიტალში ცვლილებების ანალიზი

	კაპიტალი	ძირითადი საშუალო.გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	საემისიო შემოსავალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის			287 999	103 276	391 275
მოგება / (ზარალი)	X	X		X	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	X	X	X	X	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	-3 717	0	-3717
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0	0
საწარმოთა გაერთიანება		0	0	0	0
დივიდენდის გამოცხადება	X	X		X	0
სხვა	X	X	X	X	0
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		0	284 282	103 276	387 558

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის
სექტემბერი.

25

შპს-ის „ვ.დ.ლ.“

დირექტორი



შპს „ვ.დ.ლ.“

(ს/კ N216454389) განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური

ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ვ.დ.ლ.“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2009 წლის 19 ოქტომბერს

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ცემენტის წარმოება(კლინკერი);
- საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით(, ცემენტი, ქვიშა, ხრეში, ინერტული მასალები , თაბაშირი, ბორდიული , ბლოკი);
- სატვირთო საგზაო ტრანსპორტი (გადაზიდვა);
- გადაზიდვის მომსახურება(გადაზიდვის (გადაადგილების) მომსახურებას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის საგზაო ტრანსპორტით)
- ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა (მდოლის გარეშე).

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

ტექნიკური და ეკონომიკური ქვედანაყოფები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საწარმოს მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;

2.4. საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოიქმნიდა.

2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

2.7. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

2.8. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.9. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

2.10. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთისა გამოკლებით;

2.11. საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

2.12. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

2.13. დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

2.14. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი დისტრიბუციის სატვირთო ავტოფურგონებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

2.15. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

2.16. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა ზარალმა (3717) ღარი შეადგინა.

2.17. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

2.18. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 25 სექტემბერი;

2.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

2.20. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

2.21. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №1);
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №2);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №3);
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №4);
- განმარტებით შენიშვნებს.

2.22. განმარტებითი შენიშვნები ანგარიშგებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2.23 ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ შედგენილია მსს ფასსის მე-2, მე-4 და მე-11 განყოფილებების შესაბამისად;

2.24 ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

2.25 ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით;

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს გაცემული სესხი არ ერიცხებოდა;

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს სს „კორ სტანდარტ“ ბანკთან გაფორმებული აქვს ორი საკრედიტო ხელშეკრულება 1--ეროვნულ ვალუტაში, მე 2- აშშ დოლარში.

მათ შორის:

#1 2014 წლის 31ოქტომბრის ხელშეკრულებით „ეს კორ სტანდარტ“ ბანკისგან“ მიღებულია კრედიტი 400 000 ლარის ოდენობით. კრედიტი მიღებულია 72 თვის ვადით, წლიური საპროცენტო

განაკვეთით – 11%. კრედიტის თანხა მთლიანად გამოყენებულია საინვესტიციო ქონების შესაძენად – შესყიდულია წისქვილი., სესხი დარჩენილია -222 628 ლარი.

#-2 2016 წლის 21 აპრილის ხელშეკრულებით „სს კორ სტანდარტ ბანკისგან“ მიღებულია კრედიტი 40 000 აშშ დოლარის ოდენობით. კრედიტი მიღებულია 60 თვის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%. კრედიტის თანხა მთლიანად გამოყენებულია საინვესტიციო ქონების შესაძენად – შესყიდულია სხვადასხვა დანადგარი ., სესხი დარჩენილია 2018წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული კურსით 58397 ლარი.

3. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

3.3. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №3-ის სახით;

3.4. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს:

- საოპერაციო საქმიანობიდან;
- საინვესტიციო საქმიანობიდან;
- საფინანსო საქმიანობიდან;

3.5. მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია: პროდუქციის რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები;

3.6. ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეიტანილია: სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი, გადახდილი პროცენტები, ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში. სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები, ობლიგაციები საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული არ ყოფილა.

3.7. მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები;

4. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

4.3. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;

4.4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ზარალი (3717) ლარი